№ 352 1918 წ. სამშაბათი. ოქტომბრის 8. № 352

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

გერმანიის რეიჰკანცლერად ბადენის პრინცი მაქსი დაინიშნა; უპორტფელო სტატს-სეკრეტრად სოც.-დემ. შეიდემანი. ბოლშევიკების ჯარის მთავარ-სარდლად დანიშნეს ბრუსილოვი. ბაქოდან ტფილისისაკენ უკვე გამოგზავნილია ნავთი და მაზუთი. შამქანში ბრძოლა გრძელდება.

საჯარო ვაჭრობა

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ხვალ, ოქტომბრის 9-ს, შუადღის 12 ს. გამგეობის ბინაზე მოხდება საჯარო

შეჯიბრება

დიდუბეში მტკვარზე ნავით გადაყვან-გადმოყვანის მოწყობის საქმის იჯარით ასაღებად

კონდიციების და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება მუშაობის დროს საარენდო-სამიწო განყოფილებაში. 2360

გულდამწვარი მშობლები მართა თომას ასული და სიმონ ტიმოთეს ძე მანჯავიძენი და მათი შვილები: დიმიტრი, ვლადიმერ და რძალი ანა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

ლიუდმილა |ლუდა| მანჯავიძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება მოხდება დღეს, ოქტომბრის 8-ს დილის ათ საათზე ქალ. ხაშურში, ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში და დაიკრძალება ხაშურის სასაფლაოზე. 2015

გულდათუთქული დები: ვერა, ქიონია და ნინო სიმონის ასულნი; სიძეები: იპოლიტ სპირიდონის ძე დუგლაძე, სპირიდონ ოტიას ძე ბენდუქიძე და ვასიკო დიმიტრის ძე გაბუნია აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უძვირფასესი დის

ლიუდმილა |ლუდა| სიმონის ასულ მანჯავიძის

გარდაცვალებას დაკრძალვა მოხდება დღეს, ოქტომბრის 8-ს ქალ. ხაშურში. 2014

თამრო, გრიშა, ირა, ვავა და ნუნუ ბენდუქიძენი; მაგლო, გოგი და მიშა დუგლაძენი, გულდაწყვეტით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელი დეიდის

ლუდა მანჯავიძის

დაკარგვას. 2015

შაბათს, ოქტომბრის 12-ს (ახალი სტილით) საჩხერის ეკლესიაში იქნება გადახდილი ორმოცის წლის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულის

ლევან კონსტანტინეს ძე აბაშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს, ამხანაგებს, გაუბედურებული თავზარდაცემული ქვრივი აგრაფინა პაპუნა წერეთლის ასული აბაშიძე შვილებით. 2013

მშობლები ვანო და ელენე დუშურაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ შვილის

გიორგი (გოგი) დუშურაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება დღეს სამშაბათს, ოქტომბრის 8-ს დილის ათ საათზე, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. ბინა: ერთობის უბანი, პადგორნი № 17. 2014

ღრმა მწუხარებაში მყოფნი შვილები: ალექსანდრე, დათიკო, ვალიკო, ნინო, ნადია და ეკატერინე ჯაფარიძეები; რძლები: ბარბარე, ფაცუნია და სიძენი: არჩილ და გრამიტონ ბაქრაძეები ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ღვინობისთვის 3-ს დ. ონში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ვლადიმერ დავითის ძე ჯაფარიძე,

რომლის დაკრძალვაც მოხდება ღვინობისთვის 7-ს სოფელ ზუდანში (რაჭის მაზრა)

გულ-დამწვარი დედ-მამა მღვდელი ივანე, და პელაგია და ძმა დათიკო ონოფრიშვილები, ბიძა ლუკა ონოფრიშვილი ცოლით და მამიდა ნინო ქმრით იოსებ დანელიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პორუჩიკ

მიხეილ ივანეს ძე ონოფრიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. მიცვალებულის გასვენება დანიშნულია დღეს, შუადღის 3 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან სადგურზე, საიდანაც წაასვენებენ სოფელ კავთისხევში დასაკრძალავად დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, ოქტომბრის 10-ს. 2018

შაქრის ბარათები

ოქტომბრის 7-დან საუბნო საბარათო ბიუროებში დაიწყება შაქრის ბარათების გამოცვლა—ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრისათვის. ბარათები მიეცემა მხოლოდ სახლისა და სარაიონო ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ ა) **სახლის წიგნი,** ბ) სახლის სარეგისტრაციო უწყება, გ) პიროვნების მოწმობა **და დ) ჩამოწერილი ბარათი, ან-ბანით დაწყობილი.**

სარეგისტრაციო უწყება დამოწმებულ უნდა იქმნას საუბნო სასურსათო კომიტეტში. საანბანო ბარათის მიღება შეიძლება საუბნო საბარათო ბიუროში.

სასურსათო ბარათის ფასი 10 შაური თითო რაციონზე, მაგრამ არა უმეტეს 3 მანეთისა თითო ბარათზე.

1918 წ. ოქტომბრის 1. გამგეობის წევრი. 1349

1918—19 წლის საოპერო სეზონი **საზაფხულო თეატრი** დირექცია ნ. ლ. ლევიცკის

სამშაბათს, ოქტომბრის 8-ს. **„ცარსკაია ნევესტა“** ოპერა 4 მოქმ. მუს. რიმსკი-კორსაკოვისა

მონაწილეობენ: ქ-ნი ვ. ლევიცკისა, იანსა, მოროზოვისა. ბ-ნი ბერეზინი, მოლჩანოვი, პალიაევი, ნიკოლსკი, დემიანენკო.

დირიჟორი **ჩერეპნინი.** დასაწყისი 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: ოთხშაბათს ოქტომბრის 9-ს „რიგოლეტო“, ხუთშაბათს 10-ს „დუბროვსკი“, პარასკევს 11-ს „პიკოვაია დამა“. 1332

კ. ი. ზუბალაშვილის სახ. სახ. სახლი

სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრე.

ოთხშაბათს, ოქტომბრის 9-ს, 1918 წ.

წარმოდგენილი იქნება:

1. **ლაქია** კომ. 3 მოქ. ნაროდინისა თარგ. კ. ხახანაშვილისა.

2. **დავა** ერისთავისა, მეოთხე მოქმედებიდან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არჯევანიძე, თ. გოგოლაშვილი, ნიჰონი, იანქოშვილი, რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ. ბ. გოცირიძე, მეტრეველი, მინდიაშვილი, მამაჯანოვი, თავდგირიძე, სალაყაია, ნინიძე და ჭანკვეტაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 3 მ. 60 კ—დე.

შემდეგი წარმოდგენა ოქტომბრის 15.

რეჟ. კ. **შათირიშვილი.** რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე. 2016

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოქტომბრის 8-ს, გაიმართება

ვიქტორის და დიმის ბენეფისი

მონაწილეობენ აგრეთვე ზინკოვსკები, ესმერალდა, „სამი ეშმაკი“—ჰაერის მეფეები და მთელი დასი. 2111

საქართველოს რესპუბლიკის მომარაგების კომიტეტი

ამით აუწყებს სოფლის კოოპერატივებს, რომ მას აქვს გასაყიდად გადადებული 100000 წყვილი საცვალი (თეთრეული) ნარმიდან გაკეთებული. წყვილი ღირს ხუთ თუმნად. მომარაგების კომიტეტის (კომიტეტ სნაბჟენია) ახალი მისამართი: შტაბის ქუჩა, № 2. 1358

მე-II წელიწადი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია **მე-II წელიწადი**

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ძ ს ე ნ ი ა ს ძ. № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინეობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს **უფასო სახელმძღვანელოებს.** ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყება 2 ენკენისთვიდან.

გიმნაზიის გამგე **ს. ნ. შულგინი.**

1917—1918 სამოსწ. წელს უკვე დაამთავრეს მოწაფეებმა პირველად კურსი („პირველი ვიპუსკი“). 2080

ქარიშხალი: ლახარია

კითხვა-პასუხი

—ე მანდ, ბიჭო, აგე გახე, ე ხალხი რო
იქით გარბის,
ე ლამაზიც მიგოგმანებს, ჰკრიმე მის შავ
თვალ-წარბის!..
ეს ვინ არის. ქართველია? სომეხი თუ თათარია?..
ბიჭოს ჯორით მოჩაქჩაქებს, მღვდელი
აბიათარია...
ჩვენი სინო—მეზურნეც კი, ეგ ხომ დიდი ნატარია...
— ვა, არ იცი ბილეთები და ქართული ლატარია?
— მერე რაო?
— ვა, ფული ღირს, მანეთია ოცდა ხუთი...
— ეჰ, ვინ მამცა?
— მაშ რა არის, შინ გიწყვია ათი ფუთი.
— ეჰ, მასხარავ, ჭკუა იოხთურ? რად ხარ
მეთქი ეგრე ცეტი?
— ვა, ხომ გიყვარს, კარგად ვიცი, თრიატრი
და ვერსიტეტი!
ფულს რომ მისცემ, ბილეთს მოგცემს, შეეწევი საქმეს
რაღა!
იმ ბილეთით ფულს მოიგებ, გეფიცები ჩემს სულს,
აღა!
რომ მოიგებ, იმ მოგების მერე განა იცი ფასი?
თუმნობით რო ჩავყრათ ჩოთქსა, შენ გერგება
ათ-ათასი!
— ეჰ, რას ამბობ!.. მაშ გავრბივარ,
მიმაქვს ოთხი გეგეჭკორი
და თუ ყველა ვერ მოვიგე, დაგაბღავლებ
როგორც ღორი! 1311

ტფილისი, ოქტომბრის 8.

ზავის მოლოდინში. მებრძოლ კოალიციებში და საზოგადოდ მთლად ევროპაში ამ ჟამად ფრიად საგულისხმო ამბები ჰხდება. ჩვენ რამდენიმეჯერ აღვნიშნეთ, რომ იქ ძლიერ გაიზარდა საზავო მოძრაობა. მართლაც ყველანი დარწმუნდნენ, რომ მოპირდაპირის მოსპობას ვერც ერთი კოალიცია ვერ შეძლებს. თან ხალხთათვის გამოირკვა, რომ ის ლამაზლამაზი სიტყვები ერთა თავისუფლების, მილიტარიზმის მოსპობის და სხვ. შესახებ—ყველასათვის სიტყვის მასალა იყო. აშკარა გახდა მტაცებელი, ყაჩაღურ-იმპერიალისტური მისწრაფებანი მებრძოლ სახელმწიფოებისა. რაკი ერებმა ეს დაინახეს, რაკი ხალხი ამ ოთხი წლის სისხლის ღვრის შემდეგ დარწმუნდა, რომ სულ ტყუილად იბრძვის—მომზადდა ფსიქოლოგიური ნიადაგი ზავისათვის. ევროპის დემოკრატია მედგრად აწარმოებდა და აწარმოებს თავდაცვის საქმეს. იგი დარწმუნებული იყო, რომ მეზობლები სცდილობდნენ მის განადგურებას და ამას იგი მთელი თავისი ძალ-ღონით ეწინააღმდეგებოდა. საქმე კი ის იყო, რომ ყველა მებრძოლი ერი თავის თავს უდანაშაულოდ სთვლიდა, მტრებს ვიგერიებ, თორემ ვისი რა მაქვს საწინაამდეგოო, ყველა თავს იცავდა, ვინ ღა იყო თავდამსხმელი? ეს წინააღმდეგობა ევროპის ერებისათვის საგრძნობი იყო, მაგრამ ყოველი ერის დემოკრატია მაინც თავგამოდებით იბრძოდა, რადგან რაკი ბრძოლა დაიწყო, მართლაც მათ სამშობლოებს განადგურება და დამცირება მოელოდათ. ეხლა ეს ბუ რუსი ირკვევა და ძლიერი საზავო მოძრაობა ფაქტია. ინგლისში ეს მოძრაობა მუშათა მასსაში იკიდებს ფეხს. მათ ყრილობაზე ორ მილიონ ნახევარი ხმით ნახევარი მილიონის წინააღმდეგ გადასწყვიტეს დაუყოვნებლივ ზავს დაუჭირონ მხარი. ეხლა დიდი ცვლილება ჰხდება გერმანიაშიაც. იქ ჯერ ამ ორი წლის წინად შეიქმნა მდგომარეობა, როდესაც ხალხიც და მთავრობაც ზავის მომხრედ გამოდიოდა. აღსანიშნავია აგრეთვე ამას წინად ვილჰელმის მიერ წარმოთქმული სიტყვა კრუპის ქარხნის მუშებისადმი. ერთი სიტყვით გერმანიაში მთავრობასა და ხალხს შორის გაგება და თანხმობა არსებობს. ეს თანხმობა და ერთმანეთის გაგება განსაკუთრებით ცხადია დღეს, როდესაც ჰხდება გარდაქმნა გერმანიის შინაურ წეს-წყობილებისა და ძალაში შედის პარლამენტარიზმი. ამას წინად ჩვენ ცნობა გვქონდა, რომ ახალი მთავრობის სამოქმედო პროგრამას სოციალ-დემოკრატების თეზისები დაედვა საფუძვლადაო. ეს უდიდესი მოვლენაა და უეჭველია იგი უფრო შეჰკუმშავს, გააფოლადებს გერმანიას, ძალას შეჰმატებს გარეშე ძალასთან ბრძოლაში. ამიტომ სრულიად ზედმეტია, ვიმეორებთ, ვისიმე დამარცხების თაობაზე ლაპარაკი. აღსანიშნავი კი არის, რომ ზავი გვიახლოვდება.

გერმანიაში ახლად შემდგარი მთავრობის პირველი ნაბიჯი, უეჭველია, ზავისაკენ იქნება გადადგმული. თუმცა პირდაპირ გერმანიიდან არა, მაგრამ მოსკოვიდან მოსულ ცნობებით ცნობილი სოციალ-დემოკრატი შეიდემანი სტატს-სეკრეტრად დაუნიშნავთ უპორტფელოდ. პირველი საზრუნავი ახალი მთავრობისა, როგორც უკვე ვსთქვით, ზავი და საზავო პირობების შემუშავება იქნება. სხვა სახელმწიფოები ამას უეჭველად ანგარიშს გაუწევენ და შესაძლებელია წელს მაინც მოელოს ბოლო, იმ ცეცხლის ტრიალს, რი-

სავანაც ასე შეწუხებულია მთელი კაცობრიობა.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზავს საქართველოსათვის, ამაზე ბევრი ლაპარაკი, გვგონია, საჭირო არაა. ჩვენი ქვეყანა ფორმალურად ნეიტრალურია, მაგრამ ფაქტიურად მოქცეულია ომის რკალში.

ამიტომ ზავის ჩამოგდება ერთნაირად კალაპოტს მისცემს ჩვენს ცხოვრებას. რაც უნდა იყოს, ჩვენს გარშემო რომ დაწყობილ დაწყნარებული სახელმწიფოები გაჩნდება — უდიდესი სიკეთე იქნება ჩვენთვის. როცა მეზობლის სახლი იწვის, უეჭველია, ძალაუნებური შიში გაქვს შენს სახლ-კარსაც არ მოედოს ეს სტიქიონი. ზავის ჩამოგდების შემდეგ კი ჩვენი ცხოვრება, გარდა იმისა, რომ ეკონომიური კრიზისი შემსუბუქდება—ახალ ნიადაგს ჰპოვებს გამოირკვევა აგრეთვე საბოლოოდ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობაც. ამიტომ ვლაპარაკობთ და ამიტომ ვსწერთ ამდენს ზავის თაობაზე და ამიტომვე ველით მას გულის ფანცქალით.

გაზეთებში დაბეჭდილია ვილსონის სიტყვა, სადაც იგი ლაპარაკობს საქართველოს შესახებ. გერმანიამ მოსპო იგი და საჭიროა მისი დაბრუნებაო. რომელ დაბრუნებაზე არის აქ ლაპარაკი, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ პირობებში ჩამოგდებული ზავი ბევრად უკეთესი იქნება ჩვენთვის, ვიდრე შემდეგ. თუ ვილსონს მეტი თავისუფლება მიეცა მოქმედებისა, შესაძლებელია მან საქართველოს რუსეთის კალთებში დაბრუნება ილაპარაკოს. დღეს კი ჩვენ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ვიტყვით, რომ თავისუფლება ნაძალადევად არავის მოუცია და დავიცავთ კიდევაც მთელი ჩვენი სუსტი და პატარა ძალებით. საზავო კონფერენცია, სადაც ადვილად გამოირკვევა ჩვენი მდგომარეობა და სურვილები, ერთად ერთი გზაა იმისათვის, რომ ცუდი ინფორმაციის მქონე ინგლისმა, ამერიკამ და საფრანგეთმა იცნოს ჩვენი დამოუკიდებლობა, ამიტომ ის მოძრაობა, დღეს ევროპაში რომ ჰხდება, ის ნიშნები, რომლის შესახებაც მრავალჯერ გვილაპარაკნია ჩვენ გვახარებს გვახარებს იმიტომ, რომ ეს ნიშნები მოასწავებს მსოფლიოს მშვიდობიანობას, ომის აზვირთებულ ტალღების დაწყნარებას. მაშინ ჩვენს პატარა ნავსაც შეეძლება მაზე თავისუფლად ნავარდი და აღარც იმდენი შიში გვექნება, რომელიმე დიდმა ბუმბერაზმა იგი არ მილეწ-მოლეწოს და ქარს გაატანოს.

საერობო პოლიტიკა

ზოგს ჩვენს მაზრებში საერობო არჩევნები დამთავრდა და გაჩაღდა კიდევაც საერობო მუშაობა. პირველი ნაბიჯი ერობისა დიდს მნიშვნელობას და ფრიად პასუხსაგებს ნაბიჯს შეადგენს საქმის დაწყებიდანაა საქმის შემდეგი მსვლელობა დამოკიდებული, ამიტომ დიდი სიფრთხილე და საქმის სიმძიმის აწონ-დაწონვა ჰმართებთ ყველა მათ ვინც კი ერობის მძიმე უღელში შებმულან. ერობის ინსტიტუტი მით უფრო მძიმე და სახიფათოა, რომ მას ხალხის განსაკუთრებულ წრესთან აქვს საქმე: საეკონომიო და საზოგადოებრივ საკითხებში უვიც მასასთან. ამიტომ ერობის დიდს მიზანს შეადგენს ამ მხრივ აღზრდა ხალხისა და მისი საზოგადო საეკონომიო და პრაქტიკულ ცხოვრებაში ჩაბმა. ამ გზით მუშაობის დროს ერობის მამებმა უნდა გაითვალისწინონ ჩვენი ხალხის ინდივიდუალური და საერთოდ მასის ფსიქოლოგია, რომ მასაში მუშაობა უფრო ნაყოფიერი იყოს. სწორედ ეს არა სჩანს ჩემის აზრით ჩვენი პირველი ერობის პირველ ნაბიჯში: ამ დღეებში დაბეჭდილი იყო ცნობა, ერობის ხარჯთაღრიცხვა სენაკის მაზრაში ჯამით 12.324,587 მან. საერობო კრებამ დაამტკიცაო. მე აქ ჩემდა სამწუხაროდ ხელთ არა მაქვს საჭირო მასალა, რომ დაწვრილებით შემეძლოს ამ ხარჯთაღრიცხვის გადაშინჯვა, მაგრამ საკმარისია ეს დიდი ციფრიც რომ ერთი სთქვა: ბ-ნებო ფრთხილად და თანდათანობით შეადგინეთ საერობო ხარჯთაღრიცხვანი, თუ კი გინდათ საფრთხობელად არ გახადოთ ერობა სოფლისათვის.

მართალია, ერობა არ არის თავისუფალი კავშირი, როგორც კოოპერატივი, რომ ხალხს შეეძლოს მისი სრულიად გვერდის აქცევა, მაგრამ კარგად ვიცით, რომ არა თუ ერობა, არამედ თვით სახელმწიფო იშლება, როცა მას ხალხი გულგრილად ექცევა; თუ თქვენ რუსეთის საერობო ისტორიას გადაათვალიერებთ, იქ ნახავთ, რომ არა ერთი და ორი ერობის ლიკვიდაცია მომხდარა მისი მოკლე ხნის არსებობის შემდეგ სწორედ ამ ნიადაგზე. ამიტომ ყოველივე საერობო საქმეს თანდათანობა, სისტემატიური ზრდა-განვითარება და გაფართოება უნდა ეტყობოდეს, რომ ერობის საეკონომიო და სასოფლო სამეურნეო საქმიანობა დამყარდეს მტკიცე და საღ ნიადაგზე. რომელი ერობაც ამ ელემენტალურ მოთხოვნილებას არ გაუწევს ანგარიშს და თავიდანვე დაიწყებს ოქროს მთების შენებას, ის შესცდება და ბევრს ხანს ვერ გაიდგამს მტკიცე ფესვებს ხალხის გულში.

ჯვ. იოსელიანი

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა: სასახლის შინაური გამგებლობა, როგორც მაგალითად. ამენდატურა, ყარაული და სხვა გადავიდეს მთავრობის თავმჯდომარის ხელში.

—

დადგენილია: ამიერკავკასიის სეიმის დადგენილება, მოხელეთათვის საგზაო და დღიურის სარჩოს საზომის შესახებ, გავრცელებულ იქნას რკინის გზის კანტროლის მოსამსახურეებზედაც დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა.

—

დადგენილია: აკრძალულ იქმნას მიღება სახელმწიფოს გადასახადად „ასიგნოვკების" ტალონები და ჩეკები მიმდინარე ანგარიშები სახელმწიფო ბანკებსა და ხაზინებში. მიეცეს ფინანსთა მინისტრს უფლება, ნება დართოს ამ გვარ ოპერაციებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება საქართველოს ტერიტორიაზე წიგნთსაცავ სამკითხველოების გახსნის შესახებ პრინციპიალურად მოწონებულ იქნას, ხოლო მისი დაწვრილებითი შემუშავება მიენდოს შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებს

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი

ბერლინი 10—5 კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში მოვიგერიეთ მტრის იერიშები ხოიგლენდესა და როზელერის პირდაპირ. კამბრესთან დრო-გამოშვებით საარტილერიო ბრძოლაა.

ბოინეს ლაშქარი. ინგლისელებმა ლეიკატელე აიღეს მაღლობები ქალაქის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ჩვენ დაგვრჩა. ბორეკუაში შემოჭრილი მტერი უკან გავრეკეთ სენ-კანტენის ჩრდილოეთით ფრანგებმა იერიში მოიტანეს სენ კენარტსა და მორკურტს შუა ფრანგები გამაგრდნენ ლესდენსა და მორკურტში. ლესდენი უკან დავიბრუნეთ.

გერმანელ კრონპრინცისა და ჰალვიცის ლაშქარი. ფრანგებმა და იტალიელებმა იერიში მოიტანეს ჩვენი პოზიციების წინაამდეგ შმენ დე-დამის ფერდობებზე, ელეტსა და ენს შუა მტერი მოვიგერიეთ. რეიმსის აღმოსავლეთით ჩვენ დავტოვეთ ღამით ჩვენი პოზიციები პრიუნესა და სენ-მარნპის შუა. მტერი დაგვედევნა. ენის აღმოსავლეთით მტერმა ექსერმონტის მაღლობს მიაღწია. თვითონ სოფელი, რომელიც თავში დავკარგეთ, უკან დავიბრუნეთ.

ბერლინი 10—5. საღამოს ცნობა. სენ-კანტენის ჩრდილოეთით და შამპანში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დამარცხდა ამერიკელების იერიში არგონებსა და მაას შუა.

იტალიის ფრონტი.

ვენა 10—5. ვენეციის მთაგორიან ფრონტზე ბრძოლა გაცხოველდა. აზიაგოს სამხრეთით და მონტე-პეტრიკოსთან მტრის რაზმები ჩვენს მოწინავე ხაზებში შემოიჭრნენ. იგინი ჩვენ გავრეკეთ.

პარიზი. 10—5. ვესლისა და შამპანის ფრონტზე ბრწყინვალე იერიშები მიიტანეს ფრანგებმა და ამერიკელებმა და აიძულეს გერმანელები . . . . . (გამოტოვებულია) სიუპისა და არნსაკენ. . . . ბრძვიან 45 კილომეტრის ფრონტზე ამ ჟამად განთავისუფლებულია ქალაქი რეიმსი; ფორტი ბრიმონტი და მორან-ვილლერი ფრანგების ხელშია. ნოჟან-ლაბესს მათ ალყა შემოარტყეს. ფრანგების ავანგარდები გერმანელთა არიერგარდებს მიუახლოვდნენ და გადალახეს ორანვილ-ბურგონ-სერნე-რეიმსლეის-ბეტენვილის საზოგადო ხაზი. შემდეგ ფრანგები არნას მიუახლოვდნენ, გადალახეს სიუპი ორონვილთან და არხი რამდენიმე ადგილას.

ბერლინი 10—6, კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში და კამბრესთან სიმშვიდეა. ფრონტის მრავალ ადგილას მზვერავთა მოქმედება გაცხოველდა.

ბოინეს ლაშქარი. გუშინ წინ ღამით ჩვენ დავტოვეთ პოზიციები ვრევენკურტსა და ბორევუარს შუა, ბატე-ლე კატელეს არხთან ჯარს უკან დავახევინეთ ინგლისელები და ფრანგები განაგრძობენ იერიშებს კატელესა და სენ-კანტენის ჩრდილო ნაწილს შუა. ბორევუარი და მონტ-ბრენი მტრის ხელშია.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. ფრანგებისა და იტალიელების იერიშები შმენ-დე-დამთან მოვიგერიეთ. ჩვენ დავსტოვეთ პოზიციები ბრენონტთან და საზურგო პოზიციებზე გადავედით. მტერი დაგვედევნა საღამოს სიუპთან რეიმს ნეუშარლის გზატკეცილის ორივე მხრით მტერს დაუახლოვდით და ბრძოლა გვქონდა. მტერი დიდათ დაზიანდა. მტრის იერიშები არგონების აღმოსავლეთ ფერდობზე უნაყოფოდ ჩატარდა.

ჰალვიცის ლაშქარი. მტერი განაგრძობდა იერიშებს არგონებსა და მაასს შუა. პერმონტის აღმოსავლეთით ამ დაბის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობებს მოუახლოვდა. რომანისკენ მისავალ გზატკეცილის ორივე მხრით მტერმა იერიში მოიტანა იმ ხაზების წინ, ელზას-ლორენისა და ვესტფალის ჯარებს რომ უჭირავს. იგი დამარცხდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი. გერმანიის ბატალიონები, რომელნიც პალესტინის ფრონტზე იბრძოდნენ, იძულებული გახდნენ დამასკიდან დაეხიათ, ჩრდილოეთის მიმართულებით.

ბერლინი 10—6. საღამოს ცნობა. სენ კანტენის ჩრდილოეთით და შამპანში ნაწილობრივი ბრძოლაა. არგონებსა და მაასს შუა ამერიკელების სასტიკი იერიშები მოვიგერიეთ.

ზავის გარშემო

ვენა. 10—5. დეპუტატთა პალატის სხდომა გაიხსნა დარბაზი სავსეა დეპუტატებით; ლოჟები ხალხით არის გაჭედილი. [illegible] გახსნა პრეზიდენტმა გროსსმა და სთქვა—ცენტრალური მთავრობები მზად არიან ზავი შეჰკრანო. თუ ვილსონის უკანასკნელ სიტყვაში კარგს ვერაფერს ვპოულობთ, ჩვენ მაინც უნდა მოვიკრიბოთ ყოველივე ძალა და კარგად დავაბოლოოთ საქმე. ამას მივაღწევთ მხოლოდ მაშინ, თუ მტკიცედ გადავწყვეტთ ბოლომდე ვიყვეთ-გერმანიის მოკავშირეებად. რწმენა გვექნება ჩვენი ჯარისა და ჩვენ საყვარელ იმპერატორის გარშემო შემოკრებით პრეზიდენტმა მისალმებით დაამთავრა სიტყვა და იმპერატორს „ჰოჩ" შესძახა; დამსწრეებმაც აღფრთოვანებით გაიმეორეს „ჰოხ". მინისტრ-პრეზიდენტმა გუსარეკმა დაწვრილებით დაახასიათა სამხედრო, პოლიტიკური მდგომარეობა. ბულგარეთის მიერ შეკრულმა დროებითმა ზავმა, რასაკვირველია, ახალი, სერიოზული საფრთხე შეუქმნა მონარქიას, მაგრამ მდგომარეობა კრიტიკული მაინც არ არის. ავსტრო-უნგრეთმა და გერმანიამ უკვე მიიღეს სათანადო ზომები. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ მშვიდად შევხვედროდიყავით ბალკანეთის ამბებს (ტაში მარცხენა სკამებზე). ამ ფრონტზე ჩვენი ჯარი ჩვენს მოკავშირე—გერმანელებთან ერთად იბრძვის; კავშირი მტკიცე და ურყევია („განვთავისუფლდეთ გერმანიისაგან!" ჰყვირიან ჩეხები) როგორც ბრძოლის, ისე მშვიდობიანობის დროს ჩვენ ხელი ხელ ჩაკიდებულნი ვივლით გერმანელებთან ერთად (ტაში მარცხნივ, ჩეხები ჰყვირიან. ამ ომის დროს კაცობრიობა ძალიან ჩამორჩა როგორც სულიერად ისე მატერიალურად. საფიქრებელი გაგვიხდა გამოვნახოთ საშუალება, გზები, რომ სამართლიანად გადაიჭრას ყველა ის სადავო კითხვები, რომელთაც მსოფლიო კონფლიქტი გამოიწვიეს.

მოსკოვი. 10—5. ცენტრ. აღმ. კომ. ბიულეტენი.

ბერლინი. 10—4. გერმანიის მთავრობამ თანხმობა განაცხადა შეჰკრას ზავი ვილსონის პუნქტების ნიადაგზე. საზავო ნოტა ბერნში გაიგზავნა.

ვენა. უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტმა ვეკერლემ განაცხადა, რომ მთავრობა გაიმეორებს თავის წინადადებას საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. ს—დ ფრაქციამ შეიმუშავა ზავის პირობები. იგი მოითხოვს დაუყოვნებლივ დაიწყონ საზავო მოლაპარაკება.

ჰამბურგი. 10—4. ამერიკის სოციალისტურმა კონგრესმა ჩიკაგოში ერთხმად მიიღო ზავის რეზოლუცია.

ბულგარეთის ამბები

მოსკოვი. 10—5. ცენტრ. აღმ. კომ. ბიულეტენი.

ბერლინი. 10—4 ბულგარეთში სამოქალაქო ომი იზრდება რევოლუციონური ჯარი შეტევას აწარმოებს სოფიაზე. სოფიაზე 5 კილომეტრის მოშორებით ბრძოლაა რევ. ჯარსა და მეფე ფერდინანდის ჯარს შუა: მეფეს ავსტრო-უნგრეთის ჯარები ეხმარება.

გერმანიის მთავრობაში

ბერლინი. 10—4. სამინისტრო უმრავლესობის პარტიებისაგან უნდა შესდგეს პრინცმა მაქსმა პარტიათა წარმომადგენლებს წარუდგინა პროგრამა, რომელიც „ფოსიშე ცაიტუნგის" ცნობით უმრავლესობის პარტიათა მინიმუმ—პროგრამას აღემატება. მოლაპარაკებამ სრულ შეთანხმებისაკენ მიიყვანა. მემარცხენეთა პარტია ჰფიქრობს, რომ ახალი მთავრობის პროგრამა ევროპაში ახალ წესებს დაამყარებს და ერებსაც შეარიგებს „ფორვერტსი" ამ რიგად სახავს პროგრამას: ახალი მთავრობის მიზანი იქნება დაუბრუნოს მთელ მსოფლიოს და გერმანელ ხალხს მშვიდობიანი მდგომარეობა ეს მშვიდობიანობა უნდა იყოს ხანგრძლივი, მტკიცე, ერთა კავშირზე დამყარებული და ხელი უნდა შეუწყოს საყოველთაო განვითარებას. ზავმა უნდა უზრუნველჰყოს პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლება, და ზავის შეკვრის შემდეგ ეკონომიური ომი უნდა მოსპოს ეს არის ძირითადი დებულება შემდეგ „ფორვერტსი" მეთაურში აღნიშნავს, რომ სოც.-დემ. გავლენამ უნდა მოახდინოს, რათა გერმანიამ ყველაფერი იღონოს მტკიცე ზავის ჩამოგდებისათვის. შემდეგ გერმანიის სოც.-დემოკრატია დაუმტკიცებს მოწინააღმდეგეს, რომ შეიარაღებულ მდგომარეობაზე დამყარებული ზავი გერმანელ ხალხისათვის არ წარმოადგენს მტკიცე და ხანგრძლივ ზავს. ყველა ერის ინტერესი მოითხოვს, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოუღონ ბოლო ომს. მაგრამ ვიდრე საზავო მოლაპარაკება არ დაწყებულა და ომი გრძელდება, გერმანიამ მაქსიმუმამდე უნდა გააძლიეროს თავისი ძალები და მოგერიებითი ომი აწარმოოს საომარ მდგომარეობიდან მშვიდობიანზე გადასვლა საშიშ მომენტს წარმოადგენს როგორც სამხედრო, ისე ფსიქოლოგიურის მხრივ. ვაი იმ ერს, რომელიც ხუთი წუთით ადრე დაჰყრის იარაღს, ვიდრე ეს საჭიროა. მოგერიებითი ბრძოლის წარმოება და ძალების განვითარება მოითხოვს შინაური წესიერების დაცვას: ის ერი, რომელიც მძიმე, ხანგრძლივი ომის დასასრულს მოთმინებასა ჰკარგავს და შინაურ წონასწორობას არ იცავს, იმ ავადმყოფს წააგავს, რომელიც შეხვეულ ჭრილობას ახსნის და ამით დროებით ტკივილს იყუჩებს; მაგრამ ბოლოს კი ის ამით ავადმყოფობას ართულებს და ხანდახან სიკვდილის კარამდისაც მიდის. გერმანიის სოც.-დემოკრატია ყოველთვის იმ აზრს ადგა, რომ საქმე მიზანია და არა საშუალება. გერმანიის ს.-დ მიზანი ახლო მომავალში იქნება მიღწეული მშვიდობიანი რევოლუციის გზით.

ბერლინი. 10—4. მოსკოვის აღმ. კომ ბიულეტენი. იმპერატორ ვილჰელმის სასწრაფო რესკრიპტით მაქს ბადენელი დაინიშნა რეიხსკანცლერად და საგარეო საქმეთა მინისტრად; სტატს-სეკრეტრად უპორტფელოდ დაინიშნა შეიდემანი

ტრანს-ოკეანეს პრესის ცნობა 10—4. „გერმანია" სწერს, რომ გრაფ ჰერტლინგის სახელზე იმპერატორის მიერ გამოცემული დეკრეტის შემდეგ მონარქიულმა პრინციპმა პარლამენტარულს უნდა დაუთმოს ადგილი. მემარცხენე პარტიები თავისი სურვილების აღსრულების წინაშე სდგანან და ახლო მომავალში სრულ პასუხისმგებლობაც იდვან თავს. ს.-დ. პარტიის ხელმძღვანელი ორგანო „ფორვერტსი" სწერს: გერმანიისათვის დიდებული დღეები დადგა, განსაკუთრებით დემოკრატიულ პარტიისათვის, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა დაევალება, როდესაც იგი მონაწილეობას მიიღებს მართველობაში. არავის შეჰშურდება ეს პასუხისმგებლობა, მაგრამ ეხლა საქმე ცალკე პირებში კი არ არის; საქმე ეხება მთელ ერს, მთელ მსოფლიოს, რომელმაც თავი უნდა დაალწიოს სისხლის ზღვას. „ფორვერტსი" უპასუხებს საყვედურს ბურჟუაზიულ პარტიებთან შეთანხმების გამო და ამბობს: საქმე ანტაგონიზმში კი არაა, არამედ იმაში, რომ მსოფლიოს ზავი სწყურიან, და გერმანელმა ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს თავისუფალ ერთა ზავის ლიგაში. საქმე ის არის, რომ თავისუფალ დემოკრატიული წყობილება უნდა დავამყაროთ.

ბერლინი. 10—4 მაქსი ბადენელი რეიხსკანცლერად და საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. მთავრობის პროგრამას იგი რეიხსტაგის სხდომაზე წაიკითხავს, რომელიც ოქტომბრის 5-სათვის არის დანიშნული, ნაშუადღევის 1 საათზე უპორტფელო სტატს-სეკრეტრებად დაინიშნენ რეიხსტაგის წევრები გრონერი და შეიდემანი. საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარი ვოლაფი გადადგა. მის ადგილს ცენტრის დეპუტატი დაიჰერს. მუშათა სახელმწიფოებრივი [illegible] გამოეყო სას სამეურნეო უწყებას და მის სათავეში უნდა იყოს 2 წარმომადგენელი მუშათა ამქრის გენერალურ კომისიისა. რიგშია დასმული სტატს-სეკრეტრების თანაშემწეთა არჩევნები ხალხის წარმომადგენელთან პრუსიის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის პოსტს რეიხსტაგის წევრი ფიშბეკი დაიჭერს.

პარლამენტის გარშემო

საქართველოს პარლამენტში შეტანილია შემდეგი კანონ-პროექტები:

1) ხაზინის მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატება.

2 სახელმწიფო მონოპოლიის დაწესება თამბაქოზე;

3) ერთდროული გადასახადი შაქარზე;

4) გასართობ დაწესებულებებში შეკრებილ გადასახადის გადაცემა ხაზინაში;

5) შინაგან საქმეთა სამინისტროს 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა;

6) უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლების გახსნა;

7) ერთდროული დახმარება გურიის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელს;

8) დახმარება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას;

9) მიწათ-მოქმედების სამინისტროს შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა.

ახალი ამბავი

ნავთი. გარეშე საქმეთა მინისტრმა სთხოვა ადერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელს, დახმარება აღმოუჩინოს საქართველოში ადერბეიჯანის რესპუბლიკიდან ნავთის გამოგზავნას.

ნავთი და მაზუთი. გზათა სამინისტრომ ბაქოდან ადერბეიჯანის რესპუბლიკის გზათა მინისტრისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: დღეს ოქტომბრის 5-ს გამოვგზავნეთ ბაქოდან მატარებელი შემდეგი შემადგენლობით: 30 ცისტერნი მაზუთი, 2 ცისტერნი ნავთი, 2 ვაგონი მგზავრებისთვის, ერთი ვაგონი მოსამსახურეთათვის. მასვე მოჰყვება 30 ცისტერნი მაზუთი საქართველოს რესპუბლიკისათვის. გთხოვთ პირველი მატარებელი დაუბრკოლებლივ დაბრუნებულ იყოს დანიშნულ ადგილს.

რკინის გზის მოსამსახურეთა უკანასკნელმა ყრილობამ გადასწყვიტა ყველა წევრები რკინის გზის, მოსამსახურეთა ცენტრალური კავშირისა რაიონულ გამგეობის თავმჯდომარეებსა და მდივნებს უფლება ჰქონდეთ უფასოდ გზავნონ დეპეშები

დატუსაღებანი. ოქტომბრის 6-ს, საგანგებო რაზმმა დაატუსაღა საღამოს დეპეშების „ვეჩერნი კურიერ"-ის რედაქტორი დაშოიანი, რომელმაც თავის დეპეშებში ყალბი ცნობები დასწერა მეცისა და ტრასბურგის აღების შესახებ

— საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწემ არ. 6 მილოვის ბინა გაჩხრიკა და აღმოაჩინა ოთხი თოფი.

სოხუმიდან დაბრუნდნენ გენ. თოფურია და ოქ. კობიაშვილი, რომელნიც სოხუმში გაემგზავრენ უკანასკნელ ამბების განსახილველად, რაზედაც მოხსენებას წარუდგენენ საქარ. პარლამენტს.

შეშა. ოქტომბრის 5-ს, კახეთიდან ჩამოიტანეს 15 ვაგონი შეშა. ამდენივე ვაგონ შეშას ჩამოიტანენ კახეთიდან ყოველ 3—4 დღეში.

წიგნთ-საცავ სამკითხველოები საქართველოს ტერიტორიაზე. შინაგან საქმეთა მინისტრას 50 ათასი მან. კრედიტი გაეხსნა 10 მილ. ფონდიდან საქ. ტერიტორიაზე წიგნთ-საცავ სამკითხველოების გასახსნელად.

◆ **ბორჯომის ტყე** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს აზრად აქვს გამოიყენოს ბორჯომის ტყე ავეჯეულობისათვის ამისათვის სამინისტროს განზრახული აქვს დახმარება აღმოუჩინოს ავეჯეულობის მაღაზიის პატრონს სტარიკოვსკის.

◆ **დანიშვნა.** ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტის რექტორად არჩეულ იქნა რაზუმოვსკი.

◆ **ქურდობა.** ოქტომბრის 4-ს ვ. ბერიძის ბინიდან, საპიორის ქუჩის მოსახვევში, ბოროტგამზრახველებმა წაიღეს 13 ათასი მანეთი ფულად და ნივთები.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** ამ კვირას ნაძალადევის სახ. უნივერსიტეტში წაიკითხავენ შემდეგს ლექციებს: დღეს, ოქტომბრის 8-ს ექ. ტურიაშვილი—ჰიგიენა. ილ. ნაკაშიძე—გერმანიის ხალხი და მისი მწერლობა. 9-ს, გრ ლორთქიფანიძე—ასტრონომია, 10-ს, კალ. ქავთარაძე—საშუალო საუკუნეთა ისტორია. 11-ს, პარასკევს რ. არსენიძე—სოციალიზმის ისტორია. ორშაბათობით იქნება ი. ირემაშვილის ლექცია: „საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა". ლექციები იწყება პირველი 7 საათზე მეორე 8 საათზე.

◆ **შვეიცარიის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში.** როგორც „ბორბა" გადმოგვცემს შვეიცარიას თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი დაუნიშნავს საქართველოში.

◆ **რუსთა ეროვნული საბჭო.** საქართველოს მთავრობამ მოსკოვიდან ცნობა მიიღო, რომ რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკის მთავრობას არ მიუნდვია ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოსა და მის თავმჯდომარის ლებედევისთვის საბჭოთა მთავრობის სახელით ილაპარაკოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების და კერძოდ, საქართველოს მთავრობასთან. ამიტომ საქართველოს მთავრობას არ შეუძლია სცნოს რუსთა ეროვნული საბჭო და მისი თავმჯდომარე, საბჭოთა მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლად.

◆ **მეექვსე გიმნაზიაში** ქალთა მე-6-ე გიმნაზიის ქართულ კლასებში (საანბანოდან დაწყებული მე-4-ე კლასამდე) მოწაფეთა მიღება გაგრძელდება ოქტომბრის 15-მდე, გახსნილია აგრეთვე სომხური კლასებიც საანბანოდან დაწყებული 1-ლ კლასამდე. სწავლა იწყება ოქტომბრის 7.

◆ **ციხის ზედამხედველთა ჯამაგირები.** საპყრობილეთა ინსტრუქტორმა იუსტიციის მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ციხის ზედამხედველთ გაუდიდდეთ ჯამაგირი. ამ შუამდგომლობის თანახმად ციხის უფროსი ზედამხედველი 500 მანეთს უნდა ღებულობდეს თვიურად, ხოლო უმცროსი 450 მან.

◆ **საპყრობილეთა ინსპექციაში.** ტფილისის საგუბერნიო ციხესთან არსდება ამ ინსპექციაში მოსამსახურეთა კოოპერატივი „ნუგეში". აღნიშნულ კოოპერატივის მოგების ნახევარი გადაიდება იმ ტუსაღთა სასარგებლოდ, რომელნიც ციხიდან განთავისუფლდებიან. დღეს დანიშნულია ინსპექციაში მოსამსახურეთა კრება საკოოპერაციო გამგეობის და სარევიზიო კომისიის ასარჩევად.

◆ **არჩევნების შედეგი კავთისხევის საზოგადოებაში** ასეთია: სოფ. კავთისხევში № 1—741, № 2—5, სოფ. წინარეხში—№ 1—17, № 2—295; სოფ. თელათ-გორაში № 1—342; სოფ. ქვემოხანდაკში № 1—179. პირველი ნომერი სოციალ-დემოკრატებისა იყო, მე-2 სოციალისტ-ფედერალისტებისაა.

◆ **სახელოსნოს დათვალიერება.** დღეს, მთავარი რწმუნებული გზათა სამინისტროსი და უფროს სამართველოსი ბ-ნი გ. გ. ფირცხალაური რკინის გზის უფროსების თანახლებით შეუდგება სად. ტფილისის და ნავთლუღას სახელოსნოს დათვალიერებს.

ელენე თარხან-მორავის პროფესიონალურ სკოლებში (გორსა, ხაშურსა და ახალქალაში) მეცადინეობა დაიწყება ოქტომბრის 1-ს ძველის სტილით (14), ხოლო მოწაფეთა მიღება შეიძლება ყოველ დღე. სწავლის ფული 70-დან 200-მდე.

„ქრისტინე" სინემატოგრაფში. გერმანე იოს. გოგიტიძის მესვეურებით ამ დღეებში დასრულდება სინემატოგრაფიულ ლენტის—„ქრისტინე"-ს ბეჭდვა. მოთხრობის სიუჟეტი აღებულია ეგნატე ნინოშვილის „ქრისტინედან" და პირველად გააცნობენ ტფილისის საზოგადოებას.

◆ **ლექცია.** შაბათს ოქტომბრის 12-ს კონსერვატორიის დარბაზში გიორგი მამრაძე წაიკითხავს ლექციას: „ქართლის ბედის" უკულმართობა და საქართველოს ტრაგიზმი. მოხსენების შემდეგ გაიმართება ბაასი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სხვა და სხვა ფრაქციათა წარმომადგენელნი.

მოხსენების უმთავრესი დებულებანი (თეზისები) შემდეგ იქნება გამოცხადებული.

◆ **მკვლელობა.** ოქტომბრის 4 ს, კაფე „დრუჟინაში" ოფიცერი სანაია და ონუფრიშვილი პირად ნიადაგზე წალაპარაკდნენ. ონუფრიშვილი მოკვლას დაემუქრა, მაგრამ სანაიამ მოასწრო და ონუფრიშვილი თვითონ მოკლა.

◆ **დაჭრა.** ოქტომბრის 4-ს საღამოს დასჭრეს მე-8 კომისარიატის კომისარის თანაშემწე მიქაძე.

◆ **დაკარგული ჯარის კაცი.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ: შესაძლებელია, რომელიმე დაბრუნებულმა ტყვემ ავსტრიიდან იცოდეს რაიმე უგზო-უკვლოდ დაკარგულის მე-10 ფინლანდიის პოლკის ყოფილ ჯარის კაცის კონსტანტინე (კოწია) ნიკოლოზის ძის ლოლოპერიძის შესახებ, და უმორჩილესად ვთხოვ პატივი დამდვას და მაცნობოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, მთავრობის სტამბა დათიკო ნ. ლოლობერიძეს, რისთვისაც დავშთები დიდი მადლობელი."

◆ **სამინისტროთა განკარგულებაში დაწესებულებათა აღწერა.** მთავრობის თავმჯდომარემ ყველა სამინისტროებს ცირკულიარი დაუგზავნა, სადაც ნათქვამია; ყველა სამინისტრომ წარმოადგინოს თავის განკარგულებაში მყოფ დაწესებულებათა აღწერა. აღწერაში ნათქვამი უნდა იყოს, რომელ დაწესებულებაში მოხდა რეორგანიზაცია და რომელშია განზრახული ცვლილებათა შეტანა, ან არის თუ არა დარჩენილი ისეთი ზედმეტი შტატები, რომელთა ლიკვიდაცია უნდა მოხდეს

◆ **ფოსტა-ტელეგრაფი.** ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ყრილობა დასრულდა. კრებამ აირჩია გამგეობა 15 კაცისაგან. კრებამ დაისახა შემდეგი მიზნები: 1) კოოპერატივის, სასადილოს, საჩაიეს, ფურნის, სადალაქო და სახაზროს დაარსება, რის დასამტკიცებლად ოქტომბრის 5-ს დანიშნულია შეერთებული კრება ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა.

◆ **ბორჩალოს მაზრის კომისარმა** საგუბერნიო კომისარს მოახსენა, რომ ადმინისტრატიული განყოფილება გადატანილ იქმნას შულავერიდან გერმანელთა ახალშენ—ეკატერინენ-ფელდში.

◆ **მოსავალი ყარაიაზში,** ყარაიაზიდან ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებას ატყობინებენ, რომ სამუშავო ძლიერ ბევრია და რადგანაც მუშა ხელი ნაკლებია, ქონება ილუპება.

კრებები.

◆ **კრება ინჟინერების საზოგადოებისა** ოთხშაბათს, ოქტომბრის 9-ს საღამოს 7 საათზე სამეურნეო ბანკში დანიშნულია საერთო კრება ქართველ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა საზოგადოებისა. კრებაზე მოხდება გამგეობის არჩევნები ხმა არჩევნებში ექნებათ იმ პირთ, ვინც შეიძინენ საპაიო გადასახადს არა ნაკლებ 50 პროც. ამიერ-კავკასიის ბანკში მიმდინარე ანგარიში საზოგადოებისა 842.

◆ **მოხელეთა კავშირის პრეზიდიუმი** დაბეჯითებით სთხოვს საბჭოს წევრებს უეჭველად დაესწრონ დღევანდელ კრებას, რომელიც დანიშნულია საღ. 7 ს.

სასწავლებლებში.

ტფილისის საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის პირველ გაეროვნებულ კლასში თხოვნების მიღება გაგრძელებულია. სასწავლებელი მოთავსებულია დიდი-მთავრის ქუჩაზე, № 70.

◆ **ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლის გამგე** აცხადებს, რომ ამ წლიდანვე ყველა კლასები გაეროვნებულია, სწავლა ქართულ ენაზეა მიიღებიან მხოლოდ პირველ კლასში სახალხო სკოლებში კურს დამთავრებულნი სასწავლებელში ისწავლება საზეინკლო, სახარატო, სამჭედლო თუჯის ჩამოსხმისა და სადურგლო ხელობანი. ღარიბ მოწაფეებს დაენიშნებათ სტიპენდიები, სწავლა დაიწყება ოქტომბირს 1 ახ. სტ. სასწავლებლის გამგე გ. ვაშაკიძე.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს საღამოს 7 ს. „სახალხო საქმის" რედაქციაში დანიშნულია შეერთებული კრება მთავარი კომიტეტისა, ტფილ. საგუბერნიო კომიტეტისა, ტფილ. კომიტეტისა და მუშათა კავშირის გამგეობისა. ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ. ფრიად საჭირო საკითხები გასარჩევი.

—

სოც.-ფედ სარევ. პარტიის ტფილისის კომიტეტის არჩევნები მოხდება ამ მოკლე ხანში.

—

ტფილისის საგუბერნიო ყრილობა. მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ ოქტომბრის 20-ს, ტფილისში დანიშნულია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ტფილისის გუბერნიის ორგანიზაციათა წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობის საგანი: 1) მოხსენება ტფ. საგუბერნიო კომიტეტისა და 2) საგუბერნიო კომიტეტის არჩევნები. ორგანიზაციებს ევალებათ ამ დროისთვის უეჭველად თითო წარმომადგენელი გამოგზავნონ.

—

საზოგადო კრება. ხვალ, ოთხშაბათს ოქტომბრის 9-ს, პარტიულ მთავარ კლუბში გაიმართება ჩვეულებრივი სათხშაბათო კრება. საქართველოს პარლამენტის წევრი არჩილ ჯაჯანაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: საქართველოს დღევანდელ შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობაზე. შემდეგ კამათი.

თეატრი და ხელოვნება

გალ. ტაბიძის საღამო

შაბათს, ოქტომბრის 5 ს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა, გალაქტიონ ტაბიძის საღამო. საღამო ორ განყოფილებისაგან შესდგებოდა: პირველ განყოფილებაში სიტყები წარმოსთქვეს გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე გრ. რობაქიძემ, ვ. კოტეტიშვილმა, ტ. ტაბიძემ და ალ. არსენიშვილმა. მეორე განყოფილებაში ლექსები წაიკითხეს: გალ. ტაბიძემ „ლურჯა ცხენები", „თოვლი" და სხვ; ტიციან ტაბიძემ „მალარია", გრ. რობაქიძემ „აქლემი"," გ. ქუჩიშვილმა, გ. ცეცხლაძე და ლ. ჯაფარიძემ.

—

რაჭული სიმღერები.

რედაქციამ მიიღო „რაჭული სიმღერები" შეკრებილ-შედგენილი ევგენი დვალისაგან. კრებულში 8 რაჭული სიმღერაა მოთავსებული. წიგნი ღირს 1 მარჩილი.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებაში

წ. კ. გ. ს. მთავარმა გამგეობამ ენკენისთვის 24-ს და ოქტომბრის 1-ლს მორიგ სხდომებზე დაადგინა:

1. მოწვეულ იქმნას საზოგადოების რწმუნებულთა კრება მიმდინარე წლის ნოემბრის 3-ს ახალი სტილით დღის 12 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში წარსული წლების ანგარიშების განსახილველად და გამგეობის წევრთა ასარჩევად

2. შეძენილ იქმნას ზაქ. ჭიჭინაძისაგან 160 სხვა და სხვა კლიშე საქართველოს ძველი ისტორიიდან.

3 დაიბეჭდოს სიბრძნე-სიცრუის წიგნი, ქუჩიშვილის საბავშო მოთხრობები და ლექსები.

4. მიეცეს დახმარება ხუთ-ხუთის თუმნის საფასურის წიგნებით შემდეგ ბიბლიოთეკებს: უმაღათის, სორაპნის, ქვემოთავასის და ნაჯახოვო-ნაგიშერის.

5. აღდგენილ იქმნას სწავლა კავკავის ქართულ სკოლაში, რისთვისაც მიღებულ იქმნას ეხლავე სათანადო ზომები—საჭირო ცნობების შეკრებით ადგილობრივ განყოფილების გამგეობის საშუალებით.

6. შეუკვეთოს პროფესორ დუბროვსკის უცხოეთის ლიტერატურის მოკლე მიმოხილვის დაწერა საშუალო სკოლებისათვის სახელმძღვანელოდ, თანახმად იმ ხელშეკრულებისა, რომელიც მას წარუდგენია განათლების მინისტრისთვის. ამ ხელშეკრულების მიხედვით მიეცეს

მიწის საკითხი

(შემდეგი *)

ამნაირად, კერძო მემამულეთა მიწები (ამაში შედის გლეხთა საკუთრებაც) რეფორმა მარტის 7-ის კანონისა რომ გატარდეს ბოლომდე—ფონდში 2,209,132 დესეტინიდან გადავა მხოლოდ 270.000 დეს. და საკუთრებად დარჩება თითქმის 2,000,000 დეს. მიწებისა, ე. ი. 10 პროც. მიწისა გადავა ამ ფონდში და ასეთი მცირე პროცენტი ჩვენში არსებულ მიწის სივიწროეს ვერ უწამლებს მაშასადამე მარტის 7-ის კანონი ეხება მესაკუთრეთა 10 პროც., ხოლო 90% მის გარეშე რჩება საქართველოს წვრილ მიწათ-მფლობელობის გამო, იგივე სტატისტიკა გვეუბნება რომ ქუთაისის გუბერნიის დასახლებულ პუნქტებში ოჯახების რიცხვი უდრის 154,722, ხოლო ტფილისის გუბ 150,058 ოჯახი ორივე გუბერნიებში ასეთი ოჯახების რიცხვია: 304,780.

მაშასადამე, მიწის დეკრეტი ბოლოს და ბოლოს თითოეულ ოჯახს $^{2}/_{3}$ დესეტინისას თუ მიუზომავს.

აქედან, აშკარაა, რამდენად უვარგისია ეს კანონი თავისი დიდი ნორმით ჩვენში და რამდენად უძლურია არსებითად რაიმე რეფორმა მოახდინოს მიწის მფლობელობაში.

როგორც ვხედავთ, საქართველოს მიწათმფლობელობაში ამ კანონს თითქმის თარი ცვლილება არ შეუტანია და ია მიწის ფონდი ძალიან მცირეა, გლეხთა მოთხოვნილება ოდნავ ყოფილდეს.

ქედან ცხადია—შეგვიძლია დავტოვოთ მარტის 7-ის კანონის პრინციპები, მაგრამ ყველა კატეგორიის მიწებზე დატოვების ნორმა შემცირებული იქმნას და შეეგუოს საქართველოს მიწათმფლობელობის და კერძოდ მიწის სიმცირის მოთხოვნილებებს. მაგრამ თვით საქართველოც არ წარმოადგენს ერთნაირ სახეს ამ მხრით: აღმოსავლეთ და დასავლეთი საკმაო გაირჩევიან, ამიტომ მთელი საქართველო მიწათმფლობელობის რაოდენობის მიხედვით უნდა დაიყოს რამდენიმე ერთეულად და თითოეულისათვის გამომუშავებულ იქმნას განსაკუთრებული ნორმა დატოვებისა, რომელსაც ამტკიცებს ცენტრ. ორგანო. დანარჩენი მამულები მიმღებმა კომისიებმა უნდა გადარიცხონ სახელმწიფოს ფონდში.

ამნაირად ჩვენი მეორე დასკვნა: გადასინჯულ იქმნას **ნორმა** დატოვებისა, აღიარებული მარტის 7-ის კანონით და **შემცირებულ ქმნას,** რათა შეეგუოს საქართველოს წვრილ მიწათმფლობელობას, ნორმის შესახებ კანონი მოითხოვს მეტ განმარტებას და დეტალიზაციას, რომ კომისიებს საშუალება მიეცეთ ყოველ კერძო შემთხვევაში იხელმძღვანელოს კანონის მარტივი მუხლებით.

ამრიგად სახელმწიფოს ხელში გადავა საგრძნობი ფონდი და სწორედ აქ დგება აგრარულ რეფორმის მეორე მხარე როგორ მოიხმაროს სახელმწიფომ ეს მიწები. ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვლაპარაკობთ ტყეების, წყლების და მადნების შესახებ, რომლებიც ყოველ შემთხვევაში უნდა დარჩნენ სახელმწიფოს ხელში, ყველა დანარჩენი მიწები სახელმწიფომ უნდა გასცეს მიწის მუშებზე ან საკუთრებად, ან სასარგებლოდ.

ჯერჯერობით ჩვენ განზე დავტოვოთ საკითხი სასყიდლის შესახებ ჩვენს წინ მარტივად სდგას კითხვა: სასარგებლოა თუ არა თვითონ მეურნეობისათვის, მის ინტენსიფიკაციისათვის ამ მიწების კერძო საკუთრებად დანაწილება, მე მგონია ბევრი მტკიცება და მაგალითების მოყვანა არ დაჭირდება ამისათვის. ჩვენი მეურნეობის წინსვლა უეჭველად მოითხოვს—მის კოოპერატიულ ნიადაგზე მოწყობას გლეხთა ამხანაგობანი და სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ორგანოების მიერ დახმარება მეურნეობის რაციონალურ ნიადაგზე დასაყენებლად ამის საუკეთესო მაგალითი ისევ დანიის ამხანაგობებია, სადაც მიწის სიმცირის მიუხედავად, მშვენიერი მეურნეობაა გაჩაღებული და მთელი მხარე ეკონომიურად დიდად წარმატებულია. მაგრამ როდის არის უფრო ადვილი და მოსახერხებელი კოოპერატიულ მეურნეობის გაჩაღება. რა თქმა უნდა არა მაშინ, როცა თითოეულ ერთეულს სრულს საკუთრებად მიუზომავთ მიწას და იგი სულ ჩაეფლობა ამ საკუთრებაში. კერძო საკუთრების პრინციპი აღვივებს ეგოისტურ, ინდივიდუალურ ინსტინქტებს და დიდად უშლის ხელს ყოველ სახის კოლექტივიზმს.

საერთო მფლობელობაზე, კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა იმდენად ადვილდება, რამდენადაც სუსტია ფსიქიკა და შეხედულება მესაკუთრისა, ეს ან-ბანი გვასწავლის, რომ რამდენადაც შეიძლება შევამციროთ კერძო საკუთრების პრინციპი, რათა ადვილად გადვიდეთ კოოპერატიულ მეურნეობაზე, რომელიც ერთად-ერთი გზაა საქართველოს მეურნეობის ინტესიფიკაციისაკენ, მიწის რენტის ზრდის, მის მეურნეობის მრავალ-სახეობის სიმცირის გამო. მაგრამ არსებობს კიდევ მეორე საბუთი: ჩვენ, სოციალისტები ვალდებულნი ვართ საზოგადო საკუთრება განვამტკიცოთ და გავაღრმავოთ, თუ უნდა განვავითაროთ კერძო საკუთრება. მე მგონია, აქ ორი პასუხი არ შეიძლება დღეს მიწების ფონდი ხალხის წარმომადგენლების ხელშია და მას უფლება არა აქვს, კიდევ უფრო განამტკიცოს კერძო საკუთრება და მით სოციალიზმის იდეალს დაგვაშოროს, რევოლიუციამ მოსპო ნაწილობრივ კერძო საკუთრება მიწებზე და გადასცა იგი სახელმწიფოს და თუ ჩვენ ხელ-ახლა საკუთრებად დავანაწილეთ ეს ფონდი, ცხადია რევოლიუციის მონაპოვარს მოვსპობთ ბურჟუაზიულ ურთიერთობას უფრო განვამტკიცებთ. ამნაირად, თვითონ მეურნეობის განვითარების და ინტესიფიკაციის ინტერესები ერთის მხრით და სოციალიზმისათვის სუბიექტიურ და ობიექტიურ პირობების განმზადება მეორეს მხრით აშკარად დაასკვნიან—რომ მიწები მხოლოდ სასარგებლოდ უნდა მიეცენ ხალხს და არა საკუთრებად. რასაკვირველია, აქაც დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ მომენტს: დღეს სახელმწიფო პატრონი ამ მიწებისა, სუბიექტი უფლებისა და ამით მისი საფუძველი მკვიდრდება. რაკი მიწები კერძო საკუთრებად დანაწილდება, იმ მომენტიდან სახელმწიფო მათზე ყოველ უფლებას ჰკარგავს და მასთან ერთად არ შეიძლება არ დაკარგოს ნაწილი ძალებისა და ავტორიტეტისა. ამნაირად ჩვენი მესამე დასკვნა იქნება: **საერთო სახელმწიფო ფონდიდან მიწა ოჯახებზე და ამხანაგობებზე გაიცემა არა საკუთრებად, არამედ სარგებლობის წესით,**

ეხლა დგება კითხვა—რაგვარი თანდათანობით უნდა გასცეს სახელმწიფოს ადგ. ორგან. ეს მიწები".

უპირველესად ყოვლისა უნდა დაკმაყოფილებულ იქმნას მცირე მიწების პატრონთა სამართლიანი მოთხოვნა, მათ პირველ რიგში უნდა მიეზომოს მიწები და იგრძნონ რევოლიუციის დაპირების ასრულება, რათა დამშვიდებით შეუდგნენ მეურნეობის საქმეს და დემოკრატიულსახელმწიფოსადმი ერთგულება განამტკიცონ. მაშასადამე მცირე მიწის პატრონთ ადგილობრივ ნორმის მიხედვით, რომელიც საშუალო იქნება მოთხოვნილებათა და მიწის რაოდენობის და კვალად და დამტკიცებულ იქმნება სახელმწიფო ცენტრალურ ორგანოს მიერ, მიეზომებათ სასარგებლოდ სახელმწიფო ფონდიდან იმავე რაიონში.

მეორე რიგში უნდა მიეზომოს მიწები იმავე წესით, იმ გლეხებს, რომელნიც ამ რაიონიდან არიან, მაგრამ მიწა სრულიად არ მოეპოებათ და მოისურვებენ მეურნეობის გაჩაღებას.

მესამე რიგში მიწები მიეზომებათ სასარგებლოდ მიწის მუშათა ამხანაგობებს და ასოციაციებს. ამნაირად სახელმწიფო განსაკუთრებულ პირობებს ქმნის ამ ამხანაგობათა გასამრავლებლად. სახელმწიფო მათ თავისუფალ მიწებს აძლევს განსაკუთრებულ—შეღავათიან პირობებში და მეტის ყურადღებით და დახმარებით ეპყრობა: უხსნის მცირე პროცენტიან კრედიტს, კისრულობს მიაწოდოს გაუმჯობესებული იარაღები, თესლი, გაუხსნას სკოლა, დაუნიშნოს ინსტრუქტორები და სხვა ასეთ ამხანაგობათათვის ნორმა სხვა და სხვანაირია მეურნეობის ტიპის და ამხანაგობის წევრთა რიცხვის მიხედვით. ამ რიგად გლეხს, რომელმაც თავისი ნორმა მიიღო საშუალება ეძლევა ამხანაგობაშიც შევიდეს, სადაც მფლობელობაც და მეურნეობა კოლექტიურია, რათა მან აშკარად დაიწყოს მთელი უპირატესობა უკანასკნელისა, დანარჩენ მიწებზე ამ რაიონში სახელმწიფო თვითონ საოჯახო წესით აწარმოებს მეურნეობას, ვიდრე სათანადო ამხანაგობა არ შეიქმნება და მას არ გადასცემს სახელმწიფო

თუ რომელიმე კათეგორია ადგილობრივ ვერ იქმნა დაკმაყოფილებული, სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანო მოვალეა მას მიუზომოს უახლოეს რაიონში იქ მიღებულ ნორმის მიხედვით მიწა, ან უფრო შორს ჩაასახლოს და საჭირო დახმარება გაუწიოს მეურნეობის წამოსაწყებად.

მაშასადამე ჩვენი მეოთხე დასკვნა შემდეგია **სახელმწიფო ფონდიდან მიწები მიეზომებათ სასარგებლო ნორმამდე** მცირე მიწის პატრონთა უმიწო ადგილობრივ გლეხთ და ამხან.—ასოციაციებს.

ეხლა დავუბრუნდეთ გადასახადის საკითხს. თავის თავად ცხადია, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია სრულიად უსასყიდლოდ გასცეს მიწები სასარგებლოდ ჩვენ არ ვიცით არც ერთი სოციალ მაქსიმ. პარტია, რომელიც რაიმე გადასახადს არ აწესებდეს სახელმწიფოს ან ადგილობრივ ორგანოს სასარგებლოდ. ჩვენაც შეგვეძლო დიფერენციალურ რენტაზე გავჩერებულიყავით და ის ჩამოგვერთმია სამართლიანობის დ ფინანსიურ მოსაზრების თანახმად. მაგრამ ამას სჭირია დაწვრილებითი კადასტრი და შესანიშნავად გამართული საგანგებო აპარატები, რაც დღევანდელ პირობებში ყოვლად მოუხერხებელია.

ამიტომ ჩვენ უნდა უფრო ზოგადი ტიპის გადასახადი დავაწესოთ. ცხადია, თუ მიწები სახელმწიფოს საკუთრებაა, ეს სახელმწიფო უფლება რაიმეში რეალურად უნდა ჩნდეს, რომ მოსარგებლეს და სახელმწიფოს შორის ერთგვარი ვალდებულება იყოს.

ჩვენ შეგვიძლიან სივრცე მიწათა, მისი მეურნეობის ხასიათის მიხედვით 3 ან მეტ ჯგუფად დავყოთ და სხვა და სხვა გადასახადი დავაწესოთ შემოსავლის კვალობაზე ამ მიწიდან

ეს იქმნება არა იჯარა, არამედ სარგებლობის გადასახადი, ურომლისოდ ვერც ერთი სახელმწიფო და მით უმეტეს ჩვენი, დღეს ვერ იარსებებს.

მაშასადამე ჩვენი შემდეგი დასკვნა იქმნება სახელმწიფო ფონდის მიწის სარგებლობას **დაედვას სარგებლობის გადასახადი ამ მიწის ბუნებრივ სიმდიდრის და მდებარეობის მიხედვით.**

ეს გადასახადი გადადის სახელმწიფოს განკარგულებაში, რაც შეეხება სარგებლობის დროს, იგი უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს მიერ.

(შემდეგი იქნება)

აკაკი პაპავა.

---

*) იხ „სახ. საქ." № 346.

ლუბროვსკის ჰონორარად 5,626 მანეთი.

7. გადაიხადოს 2000 მანეთი ვარიანის სკოლისათვის ბინის დასაქირავებლად.

8. დანიშნულ იქმნას ყალამის სკოლაში მასწავლებლად მარიამ ხომერიკის ასული.

9. დაუნიშნოს დახმარება თვეში 100 მანეთი ქართული გიმნაზიის 2 მაჰმადიან მოწაფეს გულთაიშვილს და კაიკაციშვილს მომავალი წლის იანვრის 1-მდე.

ლატარია

სექტემბრის 28 და 29-ს, ქ. ტფილისის ქუჩებზე მოწყობილი იყო ქართული ლატარიის ბილეთების საჯაროდ გაყიდვა, რომლის შემოსავალიც თვალსაჩინო იყო.

უგულითადეს მადლობას უძღვნის ამ დღეების მომწყობი კომისია და ლატარიის გამგეობა ყველა იმ პირთ, რომელთაც უსასყიდლო მონაწილეობა მიიღეს ბილეთების გავრცელებისა და საზოგადოდ ამ დღეების მოწყობაში განსაკუთრებით სამხედრო სამინისტროს ავტომობილებით რეკლამების გავრცელებისათვის, მინისტრს ნ. ხომერიკს და ბ. აკ. ხოშტარიას ეტლების თავაზიანად დათმობისათვის, პატივცემულ მანდილოსნებს. (მოხსენებულია ალფავიტით). ქბ. ახვლედიანისას ნელ. ბეგთაბეგიშვილისას, გაბაშვილისას ნ., გვარჯალაძისას ბ., გველესიანისას, თიკანაძისას, კვინიხიძისას, ნაკაშიძეს, მანსვეტაშვილისას, მუსხელიშვილისას, ჩერქეზიშვილისას ელ., ციციშვილისას, წერეთლისას, ჯავახიშვილისას, ხოშტარიასას ცალკე მაგიდებისას და კიოსკებში ბილეთების გასაღებისათვის და აგრეთვე ქართული თეატრის მსახიობ ქალთა ანდრონიკაშვილს და ჩერქეზიშვილისას, დრამატიულ საზოგადოების სტუდიის წევრებს, დამსახურებულ მსახიობ ვასო აბაშიძეს და ბ. ვარლამ ახვლედიანს ენერგიულ დახმარებისათვის. სახელმწიფო თეატრის კომისარს ბ. ი. წუწუნავას თეატრთან კიოსკის მოწყობისათვის.

ლატარიის დღეების მომწყობ კომისიის თავმჯდომარე **მ. რამიშვილისა**, გამგე დირექტორი და **ლატარიის გამგეობა.**

† ვასო არდიშვილი

სამწუხარო ამბავი გვამცნეს ქ. ზესტაფონიდან. ამ ახლო ხანში იქ გადაცვლილა ადგილობრივი ქალ-ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი, სახალხო მოღვაწე და ჩვენი პარტიული ამხანაგი ვასო არდიშვილი. ვისაც ქალ. ზესტაფონში უცხოვრია, ვინც თვალს ადევნებდა ადგილობრივ ინტელიგენციის მოღვაწეობას სხვა და სხვა რევოლიუციონურ და კულტურულ დაწესებულებებში, მხოლოდ მას შეუძლია წარმოიდგინოს სიმძიმე იმ დანაკლისისა, რომელსაც ვასოს დაკარგვით განიცდის მცირე რიცხოვანი რაზმი ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ მოსაქმე მოღვაწეებისა. თუმცა სიტყვა ღვაწლი შინაარსით იმავე შრომას აღნიშნავს, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენში ყველა მოღვაწედ წოდებულნი, არ არიან მოსაქმეები: ვასოს დამახასიათებელი თვისება კი სწორედ საქმე იყო მახსოვს შარშან ზესტაფონის მცხოვრებთა შეგნებულმა ნაწილმა ადგილობრივ ქალ-ვაჟთა გიმნაზიის გახსნა გადაწყვიტა. ამ მიზანს ყველაზე მეტი ენერგია შესწირა ქ. ნინო კელენჯერიძის ასულმა-იმხნელისამ და ვასო არდიშვილმა. მას დიდი ამაგი მიუძღვის ადგილობრივ გიმნაზიების დაარსებაში, მაგრამ მარტო ამგვარ მაგალითების დასახელებით არ ამოიწურება მისი მოღვაწეობა. იგი 1905-დანვე მხურვალე მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში, როგორც ჩვენში, ისე საზღვარ გარედ. ყველგან მუშაობდა, ყოველთვის მზად იყო, რომ თავისი წვლილი შეეტანა ჩვენი ხალხისთვის სასარგებლო საქმეში და მისი სიკვდილით ჩვენ დავკარგეთ სახალხო მოღვაწე და მასწავლებელი, რომელსაც ამკობდა მომავლის იმედი და შეგნება თვისი მოვალეობისა.

სიმ. წეველი.

ტფილისის საინტენდანტო დაწესებულებაში

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, საიდან და რომელ დაწესებულებიდან უთხრიან ძირს ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას, როგორც ანარქიულ პროპაგანდა-აგიტაციით ისე, ქონებრივადაც; ასეთი პიროვნებანი სადაც უნდა იყვნენ, გამომჟღავნებული უნდა იქმნენ, ვინაიდან ველარ გაიმეორებენ ასეთ საზიზღარ და მოღალატურ საქციელს. ზემოხსენებულ დაწესებულებაში, ვინ უწყის რამდენ ქურდობას და უთაობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ, უკანასკნელად ერთი მათგანი წამოეგო სამარცხვინო ანკესზე, და გაძევებულიც იქნა თანამდებობიდან.

ეს პირი არის ზემო აღნიშნულ დაწესებულებაში ყოფილი კომანდის უფროსი (პოდ—კია), რომელსაც აღმოაჩნდა სახლში წაღებული ზეთი, შაქარი და სხვა სურსათიც.

როდესაც შევეკითხეთ ჯ.-კაცები: რად, იქცევით მოღალატურად ჩვენი რესპუბლიკის არსებობას ძირს რად უთხრით თქო, ირონიული კილოთი გვიპასუხა: რუსის ჩინოვნიკებმა თუ კი მოიმოქმედეს ასე, მე რაღა ვარო რა უნდა მოეთხოვებოდეს ასეთ პიროვნებას თუ არა და მოღალატეობა? საუბედუროდ ჩვენი დაუდევრობისა გამო ზოგიერთ ჯარისკაცებშიც იჩინა თავი ასეთმა საქციელმა.

იმედია ახლად დანიშნული კომანდის უფროსი დიდს ყურადღებას მიაპყრობს სახაზინო ქონებას, და მოაგვარებს ჯ.-კაცთა მდგომარეობასაც.

ჯ.-კაცები ხ. ლეკიშვილი,
ალ. შალამბერიძე.

მოწერილი ამბები

ქ. ფოთი. სექტემბრის 22-ს მოხდა არაჩვეულებრივი სხდომა ადგილობრივ კოოპერატივის „ეკონომიის“ წევრებისა. კრებას რომელიც შესდგა სოც'-დემოკრ. ადგილობრივ ორგანიზაციის კლუბში, მრავალი ხალხი დაესწრო.

თავმჯდომარედ კრებისა აირჩა ქალაქის გამგეობის წევრი პ. ქუთათელაძე და მდივნად—ი. ნოდია.

გამგეობის სახელით წინასწარი მოხსენება კოოპერატივის საქმეებისა და ანგარიშების მდგომარეობის შესახებ წაიკითხა გამგეობის თავმჯდომარემ ვლ. ჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა თავის სიტყვაში თუ რა დაბრკოლებები ელობებოდა გამგეობას ამ საერთო მოუწესრიგებლობაში და როგორ, მიუხედავად ამისა გულმოდგინედ მუშაობდა მთელი გამგეობა ამ ექვს თვეში (იანვრიდან დაწყებული) საალებ-მიცემო თანხა 700.000 მანეთზე მეტი იყო და წმინდა მოგება დარჩენია კოოპერატივს 65.000 მანეთამდე, ე. ი. დაახლოებით 9 პროც. საერთო თანხისა. წევრების რიცხვიც იანვრიდან მეტად გაძლიერებულა (ახალი წევრი შესულა 100 კაცზე მეტი). გამგეობა როგორც ბ. თავმჯდომარის მოხსენებიდან სჩანდა ცდილობდა უწინარეს ყოვლისა პირველ მოთხოვნილების საგნების შეძენას და ამ მხრივ მეტს ყურადღებას აქცევდა პურის ფქვილს, ჰადს, ასანთს (სპიჩკას), თუთუნს. შუშეულობას, ფართლეულობას და სხვას.

შემდეგ განხილულ იქმნა გამგეობის მიერ წარმოდგენილი გეგმა მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდების შესახებ, რის შემდეგ კრებამ მიიღო ჯამაგირების ნორმები 750 მანეთიდან; (უფროს ნოქარს) 300 მანეთამდე (ბავშს ნოქარს). საშუალო ნოქრებს კი თითქმის ყველას 600 მანეთი მიეცა და ზოგსაც 500 მანეთი. ამ რიგად, ყველა მოსამსახურეს კი როგორც მთავარ მაღაზიაში, ისე რამოდენიმე მის განყოფილებაში, რომელსაც ფოთის სხვა და სხვა კუთხე—რაიონში იმყოფება ამ რიგათ სულ 6000 მანეთამდე უნდა ეძლევოდეს კოოპერატივიდან.

განხილული იქნა აგრეთვე გამგეობის მიერ შემოტანილი წინადადება საწევრო ფულისა და პაის გადიდების შესახებ და მიღებულ იქმნა პაით 20 მანეთი, ნაცვლად ძველი 10 მანეთისა.

ბოლოს კრებამ მოიწონა გამგეობის წევრის ლ. ტულუშის წინადადება შესახებ „კოოპერატივში დიდი ხნის მომუშავის ივ. მამალაძის ერთ ერთი შვილის კოოპერატივის ხარჯზე გამოზრდის და და დაადგინა მიეცეს მამალაძის ერთ-ერთს შვილს სტიპენდია კოოპერატივის თანხიდან, სანამ ის უმაღლეს პირველ განყოფილების სკოლას გაათავებდეს.

დასასრულ მოხდა გამგეობის ახალი არჩევნები. სადაც შევიდენ: ვლ. ჯაფარიძე (ერთხმად), ვ. ქადეიშვილი, ლ. ტულუში, ერთხმად, პ გოგოლაშვილი, ს. ხოშტარია, გ. ნადარეიშვილი, და პ ქუთათელაძე.

გ. ლ.

წერილი რედაქციის მიმართ

განაპირა კუთხეებს მივხედოთ!

უდაოა, რომ საქართველოს რესპუბლიკის კუთხეები ადმინისტრატიულად მოუწყობელია. მიზეზი ამისა მრავალია და ერთი მთავარ მიზეზთაგანი ის არის, რომ ძველი ადმინისტრატიული დაყოფა ახალ დროშიც უცვლელად დავტოვეთ, რადგან შეცვლისთვის გარემოება ნებას არ გვაძლევდა ჯერ-ჯერობით. მომავალში, რასაკვირველია, სრულიად მოისპობა არსებული საგუბერნიო და სამაზრო დაყოფა და შემოღებულ იქნება ისეთი ერთეულები, როგორც ამას ჰფიქრობს ეროვნულ საბჭოს საკონსტიტუციო კომისია, ესე იგი ისტორიული ერთეულები: გურია, სამეგრელო, რაჭა, ქართლი, კახეთი, ქიზიყი და სხვა, ან არა და შემოღებულ იქნება ის ახალი და წვრილი ერთეულები, რომლის შესახებაც საშინაო საქმეთა სამინისტრო აღგენს პროექტს პარლამენტში წარსადგენად.

მაგრამ, ყოველივე ეს მომავლის საქმეა და ამ დროებით კი პროვინციები, განსაკუთრებით განაპირა კუთხეები, ადმინისტრატიულად მოუწყობელნი რჩებიან. ვფიქრობ, ადმინისტრაციის მოწყობა, მოგვარება არსებულ ერთეულებშიც შეიძლება, თუ ამისთვის გამოღებულ იქნება განსაკუთრებითი ენერგია.

დღეს ადმინისტრაცია არის ალფაც და ომეგაც პროვინციის მცხოვრებთათვის. სამწუხაროდ, რესპუბლიკის ზოგიერთი განაპირა კუთხეები იმდენად მოწყვეტილნი არიან დედა ქალაქს და მის ცხოვრებას, რომ არც კი იციან, თუ ტფილისში არის პარლამენტი, არის სამინისტრო, რომელიც უმაღლესი გამგე ყოველგვარ ადმინისტრატიულ და სხვა გვარ სახელმწიფო ფუნქციების მატარებელ ორგანოებისა!.. ჩვენდა საუბედუროდ, ეს ასეა ზოგიერთ კუთხეებში. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ისეთი დიდი და მრავალ რიცხოვანი თავის მცხოვრებლებით, როგორიც არის სამეგრელო, ვფიქრობ, თუმც ამ ჟამად იქ არ ვყოფილვარ მაგრამ, რომ ასეა. რაჭასა, ლეჩხუმსა, სვანეთში და სხვ. დღევანდელ პოლიტიკურ სირთულეში ადმინისტრაციის მოწყობას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ ჯერ განმტკიცებული და პოპულიარული არ არის მრავალ კუთხეებში ჩვენი დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკა!.. ხალხი ადმინისტრაციის სიავკარგის მიხედვით აფასებს ჩვენს მთავრობასაც, და ყოველივე ამას თუ დაუმატე'თ ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ აგიტაციის წარმოებას უცხო სახელმწიფოთა მიერ მოსყიდულ ადგილობრივ **აგენტების მიერ,** მაშინ ნათელი უნდა იქნეს ის საშიშროება, რომელსაც გვიმზადებს ადმინისტრაციის ასე რიგად დატოვება; ისიც მაშინ, როდესაც, ჩვენი ადმიოისტრაციის მსახურნი სხვა და სხვა რანგის კომისარები, არა თუ მცხოვრებთ ვერ აკმაყოფილებენ თავისი რიგიანი მოპყრობით და ადამიანობით, არამედ, ძალიან ხშირად ბოროტმოქმედებას თვით ეწევიან.

რა შეგვიძლია ჩვენ ამ ჟამად. რომ ეს სამწუხარო მოვლენა თავიდან მოვიშოროთ?

მე, როგორც ეროვნულ საბჭოს წევრი, რომელსაც შემთხვევა მქონდა გავსცნობოდი სამეგრელოს ადმინისტრაციას, მის საშიშ მხარეს, რომელმაც ამის შესახებ საშინაო საქმეთა მინისტრს წერილობითი და სიტყვიერი მოხსენებაც კი გაუკეთე, დავრწმუნდი, რომ ჩვენი მთავრობა დღევანდელ მძიმე პირობებში ვერ დასძლევს ამ რთულ საქმეს, თუ მას დამხმარე არ აღმოუჩნდა ისეთი ძლიერი ორგანო, როგორიცაა საქართველოს ეროვნული საბჭო. რასაკვირველია, ეროვნული საბჭო, როგორც კანონმდებელი, პარლამენტი, მოვალეა სახელმწიფოსთვის იზრუნოს, მაგრამ მას, როგორც პარლამენტს, ვერ მოსთხოვ ადმინისტრატიულ ფუნქციების ტარებას. ეს უბრალო ჭეშმარიტებაა და ამაზე არც მე მოგახსენებთ. მე საჭიროდ მიმაჩნია შესდგეს ყოველ კუთხისათვის ცალკ-ცალკე ეროვნულ საბჭოს წევრთაგან საპარლამენტო კომისიები რომლებიც დრო გამოშვებით, ან სულ რამდენჯერმე მოივლიან დაკისრებულ კუთხეებს შეისწავლიან ადგილობრივ ადმინისტრაციის ღირსება—ნაკლულევანებას და მოახდენენ სათანადო რეორგანიზაციას. ასეთ საპარლამენტო კომისიას შეუძლია ჩვენი კუთხურ ადმინისტრაციის მოგვარება. არა მარტო დროებით, არამედ იგივე კომისია დიდ სამსახურს გაუწევს პარლამენტს, როდესაც საკითხი პრინციპიალურად იქნება დასმული თუ რა ნაირი ადმინისტრატიული ერთეულები იქნეს შემოღებული არსებულ ადმინისტრატიულ დაყოფის გაუქმების შემდეგ. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი საპარლამენტო კომისიები უებარ მალამოდ დაედება დღევანდელ ადმინისტრაციის მოწესრიგების საქმეს და, ამასთან თვითონვე ალიკვირებვა დიდის ცოდნა-დაკვირვებით ადგილობრივ პირობების შესწავლის საკითხში, ეს უკანასკნელიც მით უფრო **სასურველია,** რომ **ჩვენ** ჯერ კიდევ შეჩვეულნი არა ვართ ქვეყნის მოვლას და არც სათანადოდ ვიცით ჩვენი განაპირა კუთხეების ადგილობრივი პირობები.

რაც შეეხება თვით საპარლამენტო კომისიების მოწყობას, ეს ტეხნიკური მხარეა და არც ძნელია მისი შედგენა. მე ამ საკითხს პრინციპიალურად ვეხები და წინადადებას ვაძლევ ეროვნულ საბჭოს წევრთ ამაზე იფიქრონ და შემდეგ, რაც შეიძლება მალე საქმეს შეუდგნენ! საქმე საჩქაროა და აუცილებლად გასაკეთებელი! განაპირა კუთხეთა მოვლა-პატრონობის საქმე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სუვერენობის შერჩენის ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

დ. ჩიქოვანი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი **კბილისა კონსტანტინე არდაზიანი** განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი **მ. ზ. ვეფხვაძე** ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის $5^{1}/_{2}$ საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქ. № 19. 992

ექიმი **ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია.** იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი **მრევლიშვილი** მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

ექიმი **ლ. ა. ხარაიძე** იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი **ნ. ი. მახვილაძე** იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ზ. ზ. მეჯრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ბლექი და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

ექიმ **ა. ზ. ლევენზტეინის** კაბინეტები წამლობა **რენტგენის სხივები** და **ელექტრონით.** მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულებით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ბაჭების ავადმყოფობა. ავადმყ. მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

ექიმი **ქალი რ. ბ. შიშლო.-ხაბაშვილი** მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმმა **დიასამიძემ** განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 საღ. 5—6 კვირის გარდა. ოლღას ქუჩა 15 ტელ 18—03. 2010

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი** (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვინის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი **პავლე არდაზიანი** შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12. 106

ექიმი **ჭულუკიძე.** განაახლა ავ მყოფების მიღება შინაგან ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დ ლის 10-დან 11 საათამდე და საღამ 5-დან—6-დე. ბორჯომის ქ. № 3, ტ 11—35.

ექიმი **ი. ი. ხირიშვილი** დაბრუნ განაახლა მიღება ვენერიუ საშარდე ორგანოების, სიფილისის (შ ზხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დით მიხაილოვის შეახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 34 301

ექიმი **ი. ქ. აბაკელია** შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ბლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 127

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 62

ექიმ ნავასარდიანცის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.)

ე. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. ზ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტისიანი 9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი.

ხ გ ავეტისიანი: 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.

ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო
ექ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის
სპეციალისტ ექიმებისა
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე

ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.

ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.

გ. მ. რეკვავა შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.

ხპ. გ. ჯაფარიძე—საბავშო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.

სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ. მ. მ. ტყემალაძე.

მისამართი: ვერცხლის ქ. № 6 ეგზარხოსის მოედანთან.

სამკურნალოში ყოველთვის [illegible] მორიგი ექიმი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“ ბორისის ქუჩა